

სხდომის თავმჯდომარე- საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ზურაბ ნოზაძე, გიორგი ბერაია, დავით გარადინსკი, ირინე გელაშვილი, დავით გელაშვილი, ელგუჯა გოგალაძე, ირინე გრიგალაშვილი, შავლეგო დოლიძე, მიხეილ კაპანაძე, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე, ლაშა ლუსმანაშვილი, გურამ მაზიაშვილი, მაყვალა მაისურაძე, დავით მეტრეველი, იმედა მეტრეველი, ემზარ მურჯიკნელი, ცოტნე ნოზაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, ნოვე ტაბატაძე, ზვიად ტეფნაძე, აკაკი ჩიტაძე, მერაბ ცხოვრებაძე, მამუკა წიქარიშვილი, ანა ხარებავა, ვაჟა ხარშილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კიკნაძე; განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი კონსტანტინე ფრუიძე; საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი სპეციალისტი ნუგზარ გოცირიძე; ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი; ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების ხელმძღვანელი ლია ჯიქურაშვილი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური უფროსი სპეციალისტი დალი მარანელი;

სხდომის თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი მიესალმა საკრებულოს წევრებს. მან საკრებულოს რიგით 25-ე სხდომა გახსნილად გამოაცხადა 15:00 საათზე და მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - საკრებულოს 31 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 27 წევრმა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს წევრებს მოუწოდა, სხდომის მიმდინარეობისას, რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმებისა და წესრიგის დაცვისაკენ. შემდეგ საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

- 1) „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- 2) „2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- 3) „ხაშურის მუნიციპალიტეტში ფიზიკური აღზრდის ხელშეწყობის 2018 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №134 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- 4) "ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- 5) ქალაქ ხაშურში საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის შპს „ხაშური-ინვესტი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 69.08.63.220) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ;

6) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ;

7) ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

8) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიზნით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2018 წლის 11 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა;

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობის შემდეგ დღის წესრიგის პროექტს კენჭი უყარა:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - არცერთი

(დანართი თან ერთვის)

მოისმინეს:

1) „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ნუგზარ გოცირიძე

საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ნუგზარ გოცირიძის ინფორმაციით, აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზეზს წარმოადგენს:

1. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ოქტომბრის #1994 განკარგულების საფუძველზე ქალაქ ხაშურის #7 საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოებისათვის თანხის გამოყოფა;

2. ხაშურში იმერეთის ქუჩაზე მშენებარე სპორტკომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულების თანადაფინანსება) თანხის დამატება;

3. დაბა სურამის და სოფელ ცხრამუხის სტადიონის გასახდელებისათვის ბუნებრივი აირის შიდა ქსელის სამონტაჟო სამუშაოებისათვის თანხის გათვალისწინება;

4. მოქალაქეთა სოციალური დახმარებისათვის თანხის დამატება;

5. 2016 წლის 21 სექტემბრის #178-ე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების (7 სოფელში წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები) დასაფარად თანხის დამატება, სასამართლო გადაწყვეტილება საქმე #2-825-17 (130210017002179501);

აზრი გამოთქვას: მამუკა წიქარიშვილმა, დავით გელაშვილმა, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 27, წინააღმდეგი 0)

2) „2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ნუგზარ გოცირიძე

საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ნუგზარ გოცირიძის ინფორმაციით, რადგან მოხდა ცვლილებების შეტანა „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №48 დადგენილებაში, ეს საჭიროებს „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანას.

აზრი გამოთქვას: მამუკა წიქარიშვილმა, ზვიად ტეფნაძემ, იხილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 27, წინააღმდეგი 0)

3) „ხაშურის მუნიციპალიტეტში ფიზიკური აღზრდის ხელშეწყობის 2018 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №134 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - კონსტანტინე ფრიუძე

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის კონსტანტინე ფრიუძის ინფორმაციით, პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს სასპორტო სკოლის სრულყოფილი და შეუფერხებელი ფუნქციონირება.

აზრი გამოთქვას: ირინე გელაშვილმა, დავით გელაშვილმა, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 27, წინააღმდეგი 0)

4) "ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - კონსტანტინე ფრიუძე

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის კონსტანტინე ფრიუძის ინფორმაციით, აღნიშნული პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს, სხვადასხვა სახის სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება და მათში დაინტერესებული მოქალაქეების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

აზრი გამოთქვას: ირინე გელაშვილმა, იმედო მეტრეველმა, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 27, წინააღმდეგი 0)

5) ქალაქ ხაშურში საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის შპს „ხაშური-ინვესტი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 69.08.63.220) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ლია ჯიქურაშვილი

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების ხელმძღვანელის ლია ჯიქურაშვილის ინფორმაციით, განკარგულების მიღების არსი მდგომარეობს შემდეგში: ქალაქ ხაშურში საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის შპს „ხაშური-ინვესტი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 69.08.63.220) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება.

აზრი გამოთქვას: დავით გელაშვილმა, ზვიად ტეფნაძემ, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 27, წინააღმდეგი 0)

6) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - სერგო ლალიაშვილი;

ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის სერგო ლალიაშვილის ინფორმაციით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 6 თებერვლის N12 განკარგულებით დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა. ნუსხის დამტკიცების შემდგომ უნდა მოხდეს პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ამ ობიექტის პრივატიზება.

აზრი გამოთქვას: დავით გელაშვილმა, ზვიად ტეფნაძემ, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 27, წინააღმდეგი 0)

7) ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - სერგო ლალიაშვილი;

ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის სერგო ლალიაშვილის ინფორმაციით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, თხოვნის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით, გადასცეს ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლას (ს.ნ 243916143), რათა ა(ა)იპ-ს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს აღნიშნული უძრავი ქონებით წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

აზრი გამოთქვას: ირინე გელაშვილმა, ზვიად ტეფნაძემ, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 27, წინააღმდეგი 0)

8) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიზნით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2018 წლის 11 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა;

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა დალი მარანელმა წარმოადგინა ანგარიში მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2018 წლის 11 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

აზრი გამოთქვას: ანა ხარებავამ, ირინე გელაშვილმა, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა


(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 27, წინააღმდეგი 0)

წარმოდგენილი ანგარიში შეფასდა დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი